# შეუმდგარი ქვეყანა ნათელა გრიგალაშვილის თვალით

მაია ცეცაძე

**საკანონმდებლო ორგანიზაცია „აირისი“, შვიდთვიანი პროგრამის გათვალისწინებით, სხვადასხვა გამოფენის მოწყობას გეგმავს, რომლების პროექტებიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვას ქართული კულტურის წარმოჩენით. გალერეა „კოპალაში“ მორიგი გამოფენა ნათელა გრიგალაშვილის შავ-თეთრი ფოტოების სერიას დაეთმო, სადაც თავმოყრილი 25-მდე ნამუშევარი დამთვალიერებელს „დისფუნქციური ქვეყნის“ არსებობას შეახსენებდა.**

სოფლის ცხოვრება, გლეხის ყოველდღიურობა, სევდიანად მომზირალი მოხუცები თუ ბავშვები, ნათელა გრიგალაშვილის ფოტოობიექტივის მთავარი ობიექტებია. „კოპალაში“ გამოფენილი ფოტოების ციკლი ავტორმა სხვადასხვა სოფლებში მოგზაურობის შედეგად შექმნა, თუმცა, გამოფენის თემატიკა ორგანიზატორებმა შეარჩიეს. ფოტოსურათების ერთობლივი შერჩევით კი ნათლად აისახა, რომ ავტორმა ობიექტივის მთავარი გმირების საშუალებით სოფლის დუხჭირი ყოფა ასახა, სადაც თითოეულ ფოტონიმუშში ჩადებული მისი ემოცია უდაოდ მოქმედებს დამთვალიერებელზეც.

**ნათელა გრიგალაშვილი:** — ჩემს შემოქმედებაში, ძირითადად, ადამიანების ცხოვრებაა წარმოჩენილი. როდესაც შევკრიბეთ ეს ფოტოები, მაშინ გადაწყდა, რომ ადამიანის უფლებებს მიუძღვნიდნენ. ამ გამოფენით გამოიხატა არშემდგარი (დისფუნქციური) ქვეყანა და მე მგონია, რომ მართლაც ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ. საუბედუროდ, ნაკლებად მაქვს იმის საშუალება, რომ როგორც მინდა, ისე ვიმუშაო და რაც მინდა, ის გამოვსახო. როდესაც ყოველდღიურ საარსებო საშუალებაზე ფიქრობ, მაშინ რთულია, შემოქმედებაზე იფიქრო, თუმცა, მიმაჩნია, რომ საინტერესო დროში ვცხოვრობთ და ჩვენს გარშემო უამრავი საინტერესო რამ ხდება, რაც, თავისთავად, ფოტოგრაფისთვის ძალიან საინტერესოა. ჩემი თემა, ძირითადად, სოფელია, რადგან ვფიქრობ, რომ იქ ადამიანები (შეიძლება ვცდები) უფრო გახსნილები არიან. დადგმულ კადრს ყოველთვის ემჩნევა, რომ ის ხელოვნურია. სამწუხაროდ, ბედნიერი და მხიარული ფოტოები ნაკლებად მაქვს.

ნათელა გრიგალაშვილი მიიჩნევს, რომ ფოტოებში, გარკვეულწილად, მისი ხასიათი დევს, თუმცა, ამასთანავე დასძენს, რომ სევდიანი ფოტოების მიუხედავად, სევდას საკუთარ თავში ნაკლებად ხედავს.

— ეს ფოტოები ერთობლივად შევარჩიეთ, თანაც მიგვაჩნია, რომ ნათელა პროფესიონალი ფოტოგრაფია. ახლოს არის სოფელთან და მისი თითოეული ფოტოდან საინტერესო მუხტი მოდის. ამასთანავე, მისი ნამუშევრები მარტო ერთი კუთხით არ უნდა განვიხილოთ. აქ გამოყენებულია საინტერესო ხერხები, რაც ფოტოგრაფიას ახლავს. შუქჩრდილი, სინათლე... ყველაფერი ერთად არის გაჯერებული. მე, მაგალითად, ეს ფოტოები მაძლევს იმის საშუალებას, რომ გავირინდო და დავფიქრდე, — აღნიშნა გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა — **ნინო გუჯაბიძემ.**

— თვალი სულის სარკეა, თვალებიდან სული ასხივებს, — ამაში დასარწმუნებლად გირჩევთ, ნათელა გრიგალაშვილის საგამოფენო ექსპოზიცია მოინახულოთ და თან იჩქაროთ, რადგან გალერეა „კოპალა“ მას მხოლოდ სამი დღე უმასპინძლებს.



# უფლებებისთვის მებრძოლი სოფლის პეიზაჟები

**დუდა გელოვანი,**
**თსუ ჟურნალისტიკის III კურსის სტუდენტი**

2004 წლის 6 აპრილი. რედაქტორმა მასალა მომიწონა და ფოტოგამოფენის მოსაწვევით დამაჯილდოვა.

**„16 აპრილი. 2004, პარასკევი, 17.00 საათი, არტ-გალერეა „კოპალა“. ნათელა გრიგალაშვილის პერსონალური გამოფენა“.**

და მეც, ზემოთაღნიშნულ დღესა და საათზე, გამოფენის გახსნაზე აღმოვჩნდი.

25 მაღალპროფესიული შავ-თეთრი ფოტო სოფლის თემაზე. „ჩემთან უფრო ახლოსაა სოფლის თემა. სოფლის ადამიანები უფრო მომყოლნი, გახსნილები არიან და მეც უფრო გამომდის. ქალაქსაც ვიღებ, მაგრამ ქალაქი...“

ეს გამოფენა პროექტის — „საზოგადოება და არტ-იმიჯები“ მეშვეობით ჩატარდა. იდეის ავტორები არიან ალექსანდრა გაბუნია და **ნინო გუჯაბიძე.**

**ალექსანდრა გაბუნია:** — ეს დიდი პროექტია, რომელიც ეხება ადამიანის უფლებებს თანამედროვე ხელოვნებაში. მისი მიზანია მხატვრების პოზიციის გადმოცემა ადამიანის უფლებების გამოხატულებით. ეს არის ძალიან ფართომასშტაბიანი პროექტი და მარტო გამოფენებს არ მოიცავს. არის ვიდეომასალა, რეგიონებში მუშაობა და, რაც მთავარია, ბეჭდვითი პროდუქცია, რომელსაც ჩვენ გამოვცემთ. მაგალითად, ღია ბარათები ამავე თემატიკით, რომელზეც ძალიან ბევრი მხატვარი მუშაობს. ისინი ნამუშევრებს ასრულებენ და ზემოდან ადამიანის უფლებების გამომხატველი სლოგანია. ამ შემთხვევაში კი აღმოჩნდა ნათელა გრიგალაშვილი. გვინდოდა სოციალური თემა. მართალია, მისი ფოტოები სუფთა სოციალური თემის არ არის, მაგრამ ძალიან მრავალმხრივია. უდავოა, რომ მაღალი დონის ნამუშევრებია. ზედაპირს თუ გავცდებით და ღრმად ჩავიხედავთ, აქ არის ფიქრების განჭვრეტა. ვფიქრობ, ძალიან წარმატებული გამოფენაა.

გამოფენა კიდევ სამ დღეს გაგრძელდება, ანუ არტ-გალერეა „კოპალას“ კიდევ 3 დღე „სოფლის ცხოვრებიდან“.

**P.S. იმის გამო, რომ დრო ცოტა მრჩებოდა დანიშნულ დრომდე და სულ 2 საათში უნდა მომესწრო ბევრი საქმის გაკეთება, სხვებზე ადრე მომიწია გამოფენის დატოვება. შენობიდან გამოსულს გულმა არ მომისვენა და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ უკან დავბრუნდი. კიდევ ერთხელ დავათვალიერე შესანიშნავი ფოტოები და ისე გავუდექი გზას.**